ხაშურის მოამბე

№2 (33) 18 იანვარი, ორშაბათი, 2015 წელი

19 იანვარს ნათლისღებაა – გილოცავთ!

ნათლისღება - ეს არის დღე, როცა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მდინარე იორდანიაში სიმდაბლით იოანე ნათლისმცემლისგან ნათელიღო და წყალი ხრწნილებისაგან განწმიდა, რათა მის მიერ ცოდვათა მოტევება მოენიჭებინა ჩვენთვის.

მაცხოვარმა თვითონ კი არ მიიღო სიწმიდე ან, როგორც უცოდველი, განწმედას კი არ საჭიროებდა, არამედ ნათელიღო ჩვენი შენევნისათვის, შემუსრა ეშმა კი და განწმედილი წყლით ჩვენი უსჯულოება განბანა.

ნათლისღებისას სულიწმიდის საიდუმლო მოქმედებით ქრისტიანი ქრისტეს სხეულს, ეკლესიას უერთდება. საიდუმლო კი მადლის უხილავ მოქმედებაში მდგომარეობს: წყალი სხეულს განწმენდს, სულიწმიდა კი გონებისათვის მიუწვდომლად თვით სულს განბანს. განა ეს საკვირველია? უბრალო მაგალითი მოვიშველიოთ: როცა ცეცხლი რკინის სიბრქეში შედის, ყველაფერი ცეცხლად იქცევა. ამ დროს ცივიც ცხელდება და შავიც ნათდება. თუკი ნივთიერი ცეცხლი რკინაში შეღწევისას ასე დაუბრკოლებლად მოქმედებს, რაღა გასაკვირია, რომ სულიწმიდა სულის სიღრმეში აღწევდეს? (კირილე იერუსალიმელი).

ამ დღეს ღვთის განცხადება ეწოდება, რადგანაც სწორედ მაშინ განცხადდა პირველად სამება ძე ნათელს იღებდა, სულიწმიდა მტრედის სახით ჩანდა, ხოლო ციდან ისმოდა მამის ხმა : ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელ მე სათნო ვიყავ.

გიორგი გურასპაშვილი: ვფიქრობთ, 2016 წელი ბევრად წარმატებული იქნება, ვიდრე 2015

ახლა, როდესაც ძველ წელს უკვე მთელი 20 დღე გვაშორებს, შეიძლება ითქვას, რომ 2016 წელი ძალაში შევიდა. ეს წელი, წინასთან შედარებით, რა თქმა უნდა, პოლიტიკურად მეტად დატვირთული იქნება და წინ ბევრი ვნებათაღელვაც გველის. თუმცა, პოლიტიკის გარდა, ჩვენს მუნიციპალიტეტს, ბუნებრივია, მრავალი ეკონომიური ხასიათის სიახლეები თუ გამოწვევებიც ელის. სწორედ ამ გეგმების გასაცნობად ვთხოვეთ ინტერვიუ მუნიციპალიტეტის გამგებელს გიორგი გურასპაშვილს, რომელიც სიამოვნებით დაგვთანხმდა.

–ბატონო გიორგი, ვიდრე 2016 წლის გეგმებზე ვისაუბრებთ, მოკლედ შეაფასეთ გასული წელი. როგორი იყო იგი ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის?

–უპირველეს ყოვლისა, თქვენს მკითხველს და ჩვენს თითოეულ თანამოქალაქეს კიდევ ერთხელ ვულოცავ შობა-ახალ წელს და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ. რაც შეეხება გასულ წელს, ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის, ეკონომიური კუთხით, ის წელი, შეიძლება ითქვას, რომ წარმატების წელი იყო. ყოველ შემთხვევაში, იმ რესურსით, რაც გაგვაჩნდა, მაქსიმალურის მიღწევა შევძელით. თვითონ განსაჯეთ: ინფრასტრუქტურულ თუ სხვა პროექტებზე 2015 წელს 6 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. ამხელა თანხა ერთ წელიწადში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ხაშურის მუნიციპალიტეტში არ დახარჯულა. ამას დაამატეთ ააიპ „ხაშურსერვისისა“ და „სავანეს“ მიერ განხორციელებული ნახევარ მილიონზე მეტი თანხის პროექტები და საკმაოდ სოლიდურ ციფრს მივიღებთ. მიხარია, რომ შევძელით და განვახორციელეთ საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის პროექტი, სადაც ჩვენს პატარებს უკვე შეუძლიათ ულამაზეს გარემოში ყოფნა. ასფალტის საფარი გადაეკრა მრავალ ქუჩას, მათ შორის ისეთებს, სადაც მსგავსი საფარი არასოდეს ყოფილა. გარე განათებას კიდევ 3 ათასი ნათურა დაემატა და ეს ნამდვილად არაა ცოტა. თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენიმე სოფელი ბოლო 30 წლის განმავლობაში ელექტროენერგიის გარეშე იყო დარჩენილი და ეს პრობლემაც გადავჭერით. ამ ყველაფერს დაუმატეთ სოციალური სახის პროექტები, რომელზეც ასევე სოლიდური თანხა იყო გამოყოფილი და საბოლოო ჯამში მივიღებთ, რომ 2015 წელი ნამდვილად არ იყო ურიგო და წარუმატებელი.

–ბატონო გიორგი, ახლა 2016 წლის გეგმებზეც ვისაუბროთ...

–მოგეხსენებათ, 2016 წელი არჩევნების წელია, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ რომელიმე დაგეგმილი პროექტის განხორციელებას საფრთხე შეექმნას. გეგმები კი უამრავი გვაქვს და, რაც მთავარია, მათი შესრულების ფინანსური რესურსიც მონახულია. გასულ წლებში, როგორც წესი, ასე ხდებოდა: ნებისმიერი ინფრასტრუქტურული პროექტის მომზადება წლის დასაწყისიდან იღებდა სათავეს, რაც, რა თქმა უნდა, ვადების მკვეთრ გადაწევას იწვევდა და ბევრი პროექტის განხორციელება გვიან შემოდგომით ან ზამთრის პირობებში ხდებოდა. ჩვენ შევძელით ამ, ასე ვთქვათ, „სტერეოტიპის“ შეცვლა და უკვე გასულ წელს მოვახერხეთ 2016 წლისთვის დაგეგმილი პროექტების მომზადება. დღეს ყველა მსხვილი განსახორციელებელი მშენებლობის პროექტირება, ფაქტობრივად, უკვე ხელთ გვაქვს. უახლოეს დღეებში დავიწყებთ ტენდერების გამოცხადებას და მშენებლობებიც ფართოდ გაიშლება. რამდენიმე მსხვილ პროექტზე მოგახსენებთ: აშენდება სრულიად ახალი საბავშვო ბაღი თევდორე მღვდლის ქუჩაზ, რისთვისაც 800 ათასი ლარია გამოყოფილი. ჭალის უბანში მოასფალტდება გზები, სურამში მთლიანად ასფალტის საფარით დაიფარება 9 აპრილის ქუჩა, რომელიც საკმაოდ გრძელი მონაკვეთია. მდინარეების ბიჯნისულას და სურამულას ნაპირსამაგრი და გაწმენდითი სამუშაოები კვლავ მსხვილი მასშტაბით გაგრძელდება. აღსანიშნავია, რომ ამ სამუშაოების ფინანსირება მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან განხორციელდება. რაც მთავარია, როგორც იქნა მივიყვანეთ საბოლოო კონდიციამდე და ვიწყებთ სასპორტო კომპლექსის მშენებლობას. პროექტი უკვე მზადაა. ამ მშენებლობას 2 მილიონ 300 ათას ლარზე მეტი მოხმარდება



და ორ ეტაპად განხორციელდება. 2017 წელს ხაშურს თანამედროვე ტიპის, შესანიშნავი სასპორტო კომპლექსი ექნება. პარალელურად გაგრძელდება გარეგანათების, სოფლების გზების, საკანალიზაციო თუ სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის პროექტები. მთლიანად ჯამში, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ინფრასტრუქტურის სამინისტროდან, მოზიდული სახსრებიდან გამოყოფილმა თანხამ 2015 წლის მონაცემებს უნდა გადააჭარბოს, რაც, რა თქმა უნდა, წინსვლის მაჩვენებელი იქნება. ასე, რომ მომავალს იმედით ვუყურებთ.

–ბატონო გიორგი, 2016 წელი, მოგეხსენებათ, საპარლამენტო არჩევნების წელია. თქვენ, მუნიციპალიტეტის გამგებლობასთან პარალელურად, საკმაოდ საპასუხისმგებლო პოსტიც გაბარიათ – ხართ „ქართული ოცნების“ ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე. ეს თანამდებობა წინასაარჩევნო პროცესის თუ არჩევნების პერიოდში ხელს ხომ არ შეგიშლით სამეურნეო საქმის განხორციელებაში?

–ამ მხრივ, სამეურნეო საქმიანობას არავითარი საფრთხე არ შეექმნება, რადგან ორგანიზაციის მართვის სტრუქტურა იძლევა ამის საშუალებას. ჯერ ერთი, პარტიას დაენიშნება აღმასრულებელი მდივანი, რომელიც იმ ძირითად ფუნქციებს შეასრულებს, რაც პარტიის ამოცანები და მოვალეობებია, მეორეც – არჩევნების პროცესის პიკის პერიოდში მე ალბათ ვისარგებლებ კუთვნილი შვებულებით და მუნიციპალიტეტის გამგეობის სამეურნეო საქმიანობის მართვას, ამ პერიოდში, ის, უკვე გამოცდილი და მობილიზებული გუნდი გააგრძელებს, რომელიც, საბედნიეროდ, ჩვენს მუნიციპალიტეტს ჰყავს. ასე, რომ ამ მხრივ შეფერხება არ იქნება.

გ. გოგოლაძე

სოფლის მეურნეობა

ინფორმაცია განეული კონსულტაციების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის მასშტაბით 2015 წელს გაწეული იქნა 1575 კონსულტაცია 1895 ფერმერზე და აგრარულ სფეროში დასაქმებულ პირებზე.

კონსულტაციები 10 ძირითად მიმართულებაზე განხორციელდა.

კონსულტაციები გაწეული გვაქვს სულ ოფისის გარეთ 22-ჯერ 320 ფერმერზე, ოფისში 1403 კონსულტაცია გაეწია 1403 ფერმერს და სატელეფონო შეტყობინების ჩათვლით 150 კონსულტაცია მიიღო 150 ფერმერმა.

აღნიშნული კონსულტაციები გავმართეთ ფერმერებთან და აგრარულ სფეროში დასაქმებულ პირებთან სოფ. ალში, წაღვლში, ფლევში, ტკოცაში, წრომში, ხცისში, ხალებში, მიწობში, ოსიაურში, პატარა ახალსოფელში, ცოცხნარაში, ქემფერში, ცივწყაროში, ბეკამში, ქვიშხეთში, ტეზერში, ცხრამუხაში, გომში და სხვა სოფლებში შემდეგ თემებზე - აგროდაზღვევის, შედავათიანი აგროკრედიტის, სამთავრობო პროგრამების „დანერგე მომავალი-“ს, „აწარმოე საქართველოში“, სარწყავი თანამედროვე სისტემების გამოყენებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოასვლიანობის გაზრდის, სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების შექმნის, მეცხოველეობის, მეფუტკრეობის, ბოსტნეული კულტურების, ხილის, ვენახის, მარცვლეულის, მექანიზაციის სამუშაოების შესასრულებლად თანამედროვე ტექნიკის გამოყენების ეფექტიანობის საკითხებზე და სხვა. განსაკუთრებით დამაინტერესებელი იყო ფერმერების მონაწილეობით სადემონსტრაციოდ შერჩეული ფართობების დათვალიერება - ბოსტნეულ კულტურებზე სოფ. ტკოცაში სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი „სადა“-ს ერთ ჰექტარზე დათესილი ხახვის ფართობზე, ვაშლის ბაღზე რ/კ „ბარაქა“-ს ერთ ჰექტარ ფართობზე, ვაზზე სოფ. ქვიშხეთში მდებარე რ/კ „ცივწყარო“-ს 1,5 ჰექტარ ფართობზე, მარცვლეულზე (ხორბალი) სოფ. ვაყაში ფერმერის ილია მაჭარაშვილის 5 ჰექტრიან ფართობზე პომიდვრის ნარგაობაზე სოფ. ოსიაურში ფერმერ ტარიელ მეტივიშვილის 5 ჰექტრიან ფართობზე, ლობიოს კულტურაზე სოფ. ოსიაურში ფერმერ ვაჟა მახარაშვილის 1 ჰექტრიან ფართობზე და სიმინდზე სოფ. ოსიაურში ტ. მეტივიშვილის 10 ჰექტრიან ფართობზე.

შეხვედრაზე სიახლეების მიწოდებას ვახდენდით როგორც საუბრის და კითხვა-პასუხის პირობებში,ასევე ფერმერებს და დამსწრე საზოგადოებას ვურიგებდით სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ ბუკლეტებს,ბროშურებს,გაზეთებს და ჩვენს მიერ მომზადებულ მასალებს,ხოლო სადემონსტრაციო ფართობების დათვალიერებისას დასახელებული ლიდერი ფერმერები დამსწრეებს აცნობდნენ თავიანთი მუშაობის გამოცდილებებს. აღნიშნული ტენდენციები მომავალშიც ფართო გავრცელებას მიიღებს და ფერმერთა ჩართულობაც გაიზრდება.

სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, კერძოდ „დანერგე მომავალი“-ს შესახებ დღეის მდგომარეობით 9 ფერმერმა მოგვმართა განცხადებით ხილის გაშენებისათვის სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით მომზადების თაობაზე, რომელიც ჩვენს მიერ შემოწმებული იქნა ადგილზე და გაცემული გვქავს აღნიშნულის შესახებ 9 ცნობა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, მუნიციპალიტეტის გამგებელთან, წლის განმავლობაში ოთხჯერ მოხდა შეხვედრა „აგროდაზღვევი“-ს , „დანერგე მომავალი“-ს, „შედავათიანი აგროკრედიტი“-ს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის, მელიორაციის საკითხებზე. შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურის უფროსები და ადმინისტრაციული ერთეულების გამგებლის წარმომადგენლები, გარდა აღნიშნულისა გამგებლის წარმომადგენლებთან ყოველი კვირის სამშაბათს (წლის განმავლობაში 50-ჯერ მაინც) ვახდენდით შეხვედრას, სადაც მათგან ვღებულობდით ინფორმაციებს სამთავრობო პროგრამების მიმდინარეობაზე, ფერმერების საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამით ხვნის ბარათების დარიგების და გამოყენების თაობაზე, მიმდინარე სასოფლო სამეურნეო სამუშაოების - ხვნის და თესვის,თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების პროცესებზე მათთან შეთანხმებული გეგმა-გრაფიკების გათვალისწინებით, ასევე შეხვედრების დროს ხდებოდა გაცნობა აგრარულ სფეროში განსახორციელებელი ყველა სამთავრობო პროგრამის და დადგენილებების, მათში შეტანილი ცვლილებების თაობაზე და სხვა აგრარულ საკითხებზე.

საანგარიშო პერიოდში სულ ოთხჯერ მოეწყო შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაცია „Mercy corps“-ს, ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის USAID-ის წარმომადგენლებთან. შეხვედრები მიეძღვნა „ENPARD“-ის ინიციატივით განსახორციელებელი პროგრამების - სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების ბიზნესის განვითარების მხარდაჭერას, სასოფლო სამეურნეო სერვისის მიმწოდებელთა მხარდაჭერას, წვრილი ფერმერებისათვის მისაწოდებელი სერვისების გაუმჯობესებისათვის ცნობიერების ამაღლებასა და ინვენსტიციების მხარდაჭერას.

ასევე, მოეწყო შეხვედრა USAID/NEO-ს პროექტის ხელმძღვანელების და ფერმერების მონაწილეობით ვენახის და ხილის სადემონსტრაციო ნაკვეთების დათვალიერებისათვის, გარემოს განვითარების პროგრამის UNDP-ს ფარგლებში მოეწყო მუნიციპალიტეტის ფერმერთა შეხვედრა ბიომასის წარმოებისა და გამოყენების ხელშეწყობის პროექტის ხელმძღვანელებთან. მათ დამსწრეთ გააცნეს კონკურსის პირობები და მისი სამეურნეო მნიშვნელობა, სარწყავი და სასათბურე სისტემების დილერი კომპანიის NETAFIM-ის წარმომადგენლები შეხვდნენ და გააცნეს ფერმერებს სარწყავი სისტემების და სათბურების მოწყობის ტექნოლოგიები, მოეწყო ფერმერების და ადმინისტრაციული ერთეულების გამგებლის წარმომადგენლების შეხვედრა სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“-ს და „UNISON“-ის წარმომადგენლებთან სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევის საკითხებზე, ასევე მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის სამთავრობო პროგრამით დადგენილი ბიზნეს იდეების კონკურსში მონაწილეობისათვის ორჯერ მოეწყო შეხვედრა ცენტრალური და რეგიონალური არასამთავრობო ორგანიზაცია თბილისის ბიზნესის ტრეინინგცენტრის ხელმძღვანელ მუშაკებთან.

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივ სპეციალისტებთან ერთად მოვაწყეთ ფერმერების კარტოფილის და ბოსტნეული კულტურების ფართობების დათვალიერება საკარანტინო მავნებლის - კარტოფილის ჩრჩილის გავრცელების შესაძლო კერების დადგენის მიზნით.

მოეწყო შეხვედრა შიდა ქართლის გუბერნატორის აპარატში ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელებთან სამთავრობო პროექტის „დანერგე მომავალი“-ს პრეზენტაციაზე.

წლის განმავლობაში რამდენჯერმე მოვაწყეთ შეხვედრა მუნიციპალიტეტის გამგებელთან და ადმინისტრაციული ერთეულების გამგებლის წარმომადგენლების მონაწილეობით შპს საქართველოს სამელიორაციო სისტემების კომპანიის ტაშისკრის სარწყავი სისტემების სამმართველოს ხელმძღვანელებთან შიგა სარწყავი ქსელების და ხცისის სატუმბი სადგურის მოწესრიგების თაობაზე.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მხარდაჭერის პროექტების შესახებ ორჯერ გვქონდა შეხვედრა სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტოს ხელმძღვანელ პირებთან მეფუტკრეობის კოოპერატივების ჩამოყალიბებისა და არსებული კოოპერატივების საქმიანობის გაძლიერების საკითხებზე.

მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რეგიონული სამმართველოს ხელმძღვანელი პირები და სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მეცნიერ მუშაკები შეხვდნენ სოფ. ვაყაში ფერმერებს ექსტენციის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის საკითხებისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სამთავრობო პროგრამით გათვალისწინებულ პროექტებზე.

კონსულტაციების მიღების მიზნით, მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის წარმომადგენლებთან. საანგარიშო პერიოდში ფერმერთა სრულყოფილი მომსახურეობის მიზნით კვლევითი ცენტრის მრავალწლიანი კულტურების დეპარტამენტის, ნიადაგის ნაყოფიერების სამსახურის და მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის კვლევის დეპარტამენტის სპეციალისტებს ექვსჯერ მივმართეთ ინტენსიური ხილის ბაღების სხვლა-ფორმირებისა და ვაზის, ლობიოს, კარტოფილის და პომიდვრის კულტურებში გავრცელებული დაავადებების სიმპტომების თაობაზე და ნიადაგის ნაყოფიერების განსაზღვრის მეთოდების შესახებ, რომელთა კვალიფიციური დახმარებით გადარჩენილი იქნა დასახელებული კულტურების წლის მოსავალი და შენარჩუნებული იქნა მიწის ნაყოფიერება. ჩვენს მიერ მიმართვა და მათგან რჩევებისა და პასუხების მიღება ხდებოდა სატელეფონო საუბრებით.

ტრეინინგები სამსახურის მუშაკებისათვის ჩატარებულია თორმეტჯერ, აქედან ორმა სპეციალისტმა საზღვარგარეთ გაიარა ტრეინინგი და აიმაღლა კვალიფიკაცია.

საანგარიშო პერიოდში ხაშურის მუნიციპალიტეტში განხორციელდა შემდეგი პროექტები:

1. შეიქმნა 18 სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი, რომელშიც გაერთიანებულია 119 წევრი;

2. პროგრამა „დანერგე მომავალი“-ში მონაწილეობა მიიღო 9 ბენეფიციარმა, მათ შორის ორი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია. მრავალწლიანი კულტურების გაშენებისათვის გათვალისწინებულია 40,7 ჰექტარი.

მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის 2015 წლის პროექტში მონაწილეობა მიიღო სულ 13 456 ბენეფიციარმა, აქედან ხვნის ბარათი მიიღო 8 869 ბენეფიციარმა, ხოლო 4 587 ბენეფიციარმა კი 50 ქულიანი აგრო ბარათი მიიღო.

აგროდაზღვევის პროექტით გაცემულია 10 ცალი პოლისი 329,4 ათასი ლარის ლიმიტით, 133 ჰექტარ ფართობზე. აქედან, 3 დამზღვევს 86,75 ჰექტარზე ზარალის ასანაზღაურებლად მისაღები აქვს 45 792 ლარი.

აგროკრედიტი მიღებულია სულ 3 896 450 ლარი, მათ შორის ძირითად საშუალებებზე 1 161 800 ლარი, საბრუნავ საშუალებებზე 2 734 650 ლარი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი სპეციალისტების მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტში შესრულებულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის აცრა თურქულზე და ჯილეხზე ორჯერ, მოხდა დამუშავება ყირიმ-კონგოს დაავადებების საწინააღმდეგო პრეპარატებით 11 000 სულზე, წვრილფეხა გადაიცრა თურქულის დაავადებებზე 1 200 სულზე, ასევე მოხდა ყირიმ-კონგოს გამავრცელებელი ტკიპების გასანადგურებლად საძოვრების 500 ჰექტრამდე ფართობის შეწამვლა მექანიკური წესით. მიმდინარეობს პირუტყვის იდენტიფიცირების სამუშაოები.

სურსათის უვნებლობის მიმართულებით მონიტორინგი ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლასთან არსებულ ბუფეტს, უვნებლობის პარამეტრებზე კვლევის მიზნით აღებული იქნა სხვადასხვა სურსათის 120-ზე მეტი ნიმუში, აქტიურად მიმდინარეობს ოპერატორთა დოკუმენტური შემოწმებები, დღემდე შემოწმებულია 252 ბიზნეს ოპერატორზე მეტი.

ფიტოსანიტარიის კუთხით პერიოდულად ტარდება ფიტოსანიტარული მონიტორინგი, როგორც საკარანტინო მავნე ორგანიზმების, ისე მასობრივი აფეთქებების უნარის მქონე მწერებზე და დაავადებებზე. 2015 წელს გაცემული იქნა 16 ცალი ფიტოსანიტარული სერთიფიკატი.

2015 წელს მთავარი ყურადღება გამახვილებული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ სამთავრობო პროექტის „დანერგე მომავალი“-ს ბენეფიციარამდე დაყვანის მიზნით ჩვენს ჩართულობაზე. მოეწყო შეხვედრები გამგეობის წარმომადგენლებთან მუნიციპალიტეტის ცამეტივე ადმინისტრაციული ერთეულის და მასში შემავალი უმეტეს დიდ დასახლებებში, როგორც მცირე, ისე მსხვილ ფერმერებთან და კოოპერატივის ხელმძღვანელებთან. პროექტის დადებით შედეგებზე და მოსალოდნელ ეკონომიკურ მასშტაბებზე განემარტათ ძირეულად. შედეგად 9 ბენეფიციარმა 40,7 ჰექტარზე უკვე წარადგინა საჭირო დოკუმენტაცია პროექტებში მონაწილეობაზე, აქედან სამმა ბენეფიციარმა უკვე გააშენა 8 ჰექტარზე მეტი ხილის ბაღი, რაც უპრეცედენტოა 90-იან წლების შემდგომ.

ჩვენი ჩართულობით და რეგიონული სამმართველოს თანადგომით, სამინისტროს წინაშე დაყენებული იქნა საკითხი „დანერგე მომავალი“-ს პროექტში მონაწილე ბენეფიციარის მიერ გასაშენებელი ხილის ბაღის ფართობის 5 ჰექტრიდან 1 ჰექტრამდე შემცირების თაობაზე, რომელიც დადებითად იქნა გადაწყვეტილი.

სამსახურის ჩართულობით, გამგეობის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, შერჩეული იქნა კახეთის რეგიონიდან რთველის პერიოდში სარეალიზაციო ყურძნის ადგილები, რის შედეგადაც ყურძნის ბაზრობა ორგანიზებულად წარიმართა.

სამსახურის მიერ დაყენებული იქნა საკითხი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო საკუთრების 12 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორიის მიწის ფართობზე სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრზე ჯიშთა გამოცდისა და სანერგე მეურნეობის მოწყობისათვის გადაცემის თაობაზე, რაც დადებითად იქნა გადაწყვეტილი და აქ უკვე დაითესა ერთწლიანი საშემოდგომო კულტურე

(დასასრული III გვერდზე)

ინფორმაცია გაწეული კონსულტაციების შესახებ

(დასასრული III გვერდზე)

ბი, დაგეგმილია მრავალწლიანი კულტურების ნერგების გამოყვანა და სხვა. ჩვენს მიერ მიზანდასახული მუშაობის შედეგად გრძელდება სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების შექმნის სამუშაოები. მიმდინარე წელს სულ შეიქმნა და სტატუსი მიიღო 18 კოოპერატივმა, 4 შექმნის პროცესშია. მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელებთან ერთად საბოლოოდ დავაზუსტეთ მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სასოფლო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტში მონაწილეთა სიები. ჩვენი ინიციატივით შედგენილი იქნა საგაზაფხულო და საშემოდგომო ხვნების გეგმა-გრაფიკი და წარედგინა იგი შპს „მექანიზატორი"-ს ქარელის სერვისცენტრის ხელმძღვანელობას. ჩვენი ჩარევით, ტექნიკის არასაკმარისობიდან გამომდინარე, ხვნის სამუშაოებში ჩართული იქნა ქვეკონტრაქტორი, ასევე დამატებით მეზობელ რაიონებიდან შემოყვანილი იქნა 16 ტრაქტორზე მეტი, რის შედეგადაც მარტო შემოდგომით 1900 ჰექტარზე მეტი ფართობი მოიხნა, ხვნის სამუშაოები მართვადი გახდა, ასევე მართვადი იყო თავთავიანი კულტურების აღების კამპანიაც, რომელიც 90-იან წლების შემდგომ ორგანიზებულად და შემჭიდროებულ ვადებში იქნა განხორციელებული.

ჩვენს მიერ მიცემული რჩევა-დარიგებისა და აპლიკაციის შედგენაში დახმარების გაწევით 4 კოოპერატივმა თანაგადახდით მიიღო 16 ცალი მინი ტრაქტორი და ხელის სათესი საჩუქრად.

სამსახურის მუშაკების მიერ მოძიებული იქნა „ENPARD"-ის საგრანტო პროგრამები, რომელიც ითვალისწინებდა ბოსტნეული კულტურების თანამედროვე ტექნოლოგიებით მოვლა-მოყვანასა და იგი გაცნობილი იქნა ბენეფიციარებზე. ჩვენი ჩარევით ორმა ბენეფიციარმა მიიღო 2 ჰექტარი ფართობის ბოსტნეული კულტურებისათვის დაწვიმებითი სარწყავი სისტემები თითოეულმა 7000-7000 ლარის ღირებულების.

არასამთავრობო ორგანიზაცია „Mercy corps"-ის პროგრამით სასოფლო სამეურნეო კოოპერატივმა „რაჟდენ"-მა ჩვენი აქტიური დახმარებით მიიღო 30 000 ლარის გრანტი კარტოფილის სარგავი ტექნიკის, 2 ჰექტარი ფართობის სარწყავი სისტემის მოსაწყობად, სათესი და სარგავი მასალის შესაძენად.

ჩვენი ჩარევით გამგეობის მიერ შეძენილი იქნა და დამონტაჟდა გამგეობის პირველ სართულზე ვესტიბიულში მონიტორი, სადაც ყოველდღიურად მიმდინარეობს აგრარულ საკითხებზე ვიდეომასალების დემონსტრირება.

სამსახურის მუშაკების თხოვნით ადგილობრივი გაზეთი პერიოდულად გვითმობს სვეტს „სპეციალისტი გვირჩევს", სადაც ვაქვეყნებთ მნიშვნელოვანი ხასიათის პუბლიკაციებს.

მიმდინარე წელს, შემუშავებული იქნა სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივები, რომელიც მივუსადაგეთ მუნიციპალიტეტის განვითარების მრავალდარგოვან პროექტს.

სათანადო ახსნა-განმარტებებს ვაწარმოებთ გამგეობის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებთან ერთად სამთავრობო პროგრამების მოსახლეობაში გაცნობის მიზნით, რის შედეგადაც ათობით ფერმერმა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა მიიღო სარგებელი და განავითარა თავისი საქმიანობა.

სამსახურს თავის საქმიანობაში პრობლემები თითქმის არ გააჩნია, თუ არ გავითვალისწინებთ ინტერნეტის და პროექტორის უქონლობას.

სამსახურში ირიცხება ოთხი საშტატო ერთეული და იგი დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით დარგების მიხედვით, გარდა მეცხოველეობის დარგისა. სამსახურის შტატში გვესაჭიროება დამატებით ერთი შტატი, მეცხოველე სპეციალისტის, რადგან მეცხოველეობის დარგს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია მუნიციპალიტეტის აგრარულ სექტორში.

მიმდინარე წლის რწყვის სეზონი უკვე დამთავრებულია და იგი ჩვენს მუნიციპალიტეტში, თუ შეიძლება ითქვას, მიუხედავად ჩვენს მიერ მრავალგზის დაყენებული საკითხებისა, ძალზედ ცუდად წარიმართა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შპს „საქართველოს მელიორაცი"ის მიერ ხელშესახები მნიშვნელოვანი სახის სამელიორაციო სამუშაოები მიმდინარე წელს არ ჩატარებულა და არც მიმდინარეობს. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს ტაშისკრის სარწყავი სისტემების სათავე ნაგებობა, რომელიც ექსპლუატაციაშია 1953 წლიდან. აღნიშნული სისტემის 32 კმ-ნი ცენტრალური მაგისტრალიდან თვითდინებით სარწყავდება 2 800 ჰექტარი სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა, რომელიც მდებარეობს ქვიშხეთის, ოსიაურის, გომის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლებში. ამავე მაგისტრალიდან 90-იან წლებში სოფ. ვაყაში მდებარე სატუმბი სადგურიდან სარწყავდებოდა მიწის ქვეშა კომუნიკაციებით „ზემო ხაშური"-ს, ალის, ფლევისა და წაღვლის ადმინისტრაციული ერთეულის 2700 ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, ასევე ხცისის სატუმბი სადგურის მეშვეობით 2003 წლამდე ირწყვებოდა სოფ. ხცისის, მიწობის და წრომის 800 ჰექტარი მიწის ფართობი.

ამჟამად, მდგომარეობა მეტად არასახარბიელოა. ცნობილი მოვლენების გამო განადგურდა „ზემო ხაშური"-ს სატუმბი სისტემა და ასევე უმოქმედოდაა ხცისის სატუმბი სადგური. ფაქტიურად 6300 ჰა გასარწყავებული ფართობებიდან ნორმალურად გამართულია, მხოლოდ სოფ. ვაყის, სატივის და გომის შიგა სარწყავი სისტემები და ირწყვება 550 ჰექტრამდე ფართობი, ხოლო სოფლების - ზემო და ქვემო ოსიაურის, ცხრამუხის, ქვიშხეთის და ყიფიანთუბნის ფართობების წყალუზრუნველყოფა ვერ ხერხდება შიგა სარწყავი სისტემების გაუმართაობის გამო. აღნიშნული სარწყავი სისტემების მწყობრში ჩაყენებით გასარწყავდება ასობით ჰექტარი სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა, ამაღლდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების საჰექტარო მოსავლიანობა, გაიზრდება ფერმერთა შემოსავალი და 8300-ზე მეტი ოჯახი თავს დააღწევს სიღარიბეს.

აუცილებლობას წარმოადგენს აღდგენილი იქნას ამ 5-6 წლის წინ გაუგებარი მიზეზების გამო გაუქმებული ხაშურის სამელიორაციო სერვის ცენტრი, რომლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დღეისათვის ჯერ კიდევ შენარჩუნებულია. ამ ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპლიტეტში დასაგეგმი სამელიორაციო სამუშაოების შესრულებას.

აუცილებლობას წარმოადგენს შპს „მექანიზატორი"-ს სახნავ-სათესი ტრაქტორები და აგრეგატები განლაგდეს ადმინისტრაციული ერ-

თეულების მიხედვით, ან ბრიგადულად, გადაადგილებისათვის საჭირო თანხების ფერმერების გადასახდელისაგან გათავისუფლების მიზნით.

„დანერგე მომავალი"-ს სამთავრობო პროგრამაში სასურველია გათვალისწინებულ იქნეს ვაზის გაშენება, რითაც ჩვენი მუნიციპალიტეტის მასშტაბით სულ ცოტა 200 ჰექტარი ვენახის გაშენების მსურველია, ასევე სასურველია პროგრამის ვადა გაგრძელდეს სულ ცოტა 2016 წლის შემოდგომამდე მაინც.

მცირემიწიან ფერმერთა 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში მოსახნავ ფართობებზე აგროვადებში ხვნის სამუშაოების ეფექტურად წარმართვის მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია, ქვეკონტრაქტორს მიეცეს უფლება მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ხვნის სამუშაოების ჩატარებაზე, როგორც ეს იყო 2013 წელს. აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტის პირობებში მოიხსნება პრობლემები სახნავი ტექნიკის ნაკლებობაზე.

მცირე და საშუალო ფერმერებისათვის, მათი საწარმოო საქმიანობის უკეთ წარმართვის მიზნით, სასურველია დაწესდეს შეღავათიანი მოკლევადიანი აგროსესხები საბრუნავი საშუალებების შესაძენად.

ხარისხიანი სათესლე და სარგავი მასალის შეძენა ფერმერებისათვის შესაბამისი სამსახურების მხრიდან სერიოზულ ხელისშემშლელ პრობლემად გადაიქცა, აუცილებელია ამ საქმეზე სახელმწიფოებრივი კონტროლის გაძლიერება.

ჯემალ გელაშვილი,
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის უფროსი

[illegible], რომელიც, ალბათ, არ დაიკარგება

კოკე

გიორგის ყველა იცნობს ჩვენს ქალაქში. გიორგიც ყველას იცნობს – ამვლელს, ჩამვლელს, კაცს, ქალს, დიდს, პატარას, გადამთიელს და გადმომთიელს... რატომ მიუზედმეტსახელეს კოკე, არავინ იცის, არც თვითონ. არც აინტერესებს, ან რატომ უნდა აინტერესებდეს, თვითონ ხომ იცის გიორგია და სხვას, ვის რა სახელი მოუვა თავში, რა მისი საფიქრალია? სულ იცინის, იცინის ხმამაღლა, გადამდებად. ამ სიცილზე ყველა იცინის და იქ, სადაც კოკეა, მუდამ მხიარული გარემოა. ზოგჯერ აბრაზებენ, შეგნებულად, ჯიუტად... მაგრამ ეგრე ადვილი არ არის კოკეს გაბრაზება. გამბრაზებელს ერთს გაუღიმებს, რაღაც თავისებურს ეტყვის და გამბრაზებელიც მასთან ერთად ჩაბჟირებამდე იცინის. სულ სუფთად დადის. ვერასოდეს ნახავთ მოუწესრიგებელს, ეს მისი ცხოვრების წესია და ჩანს, მზრუნველიც ჰყავს. მოკლედ, საოცარი კაცია კოკე, ერთადერთი და გამორჩეული.

კოკეს თავისი მუდმივი მარშრუტი აქვს – სახლი – ქალაქის ცენტრი, ქალაქის ცენტრი – სახლი. ზოგჯერ ვინმე თუ ჩაისვამს მანქანაში და სადმე გაასეირნებს, თორემ მარშრუტი, პრაქტიკულად, არასოდეს ირღვევა. ქალაქის ცენტრი კი მისი მეორე სახლია – არ აქვს მნიშვნელობა კონკრეტიკას – მარკეტი, კაფე, სათამაშო ბიზნესის ოფისები... ყველაფერი მისი სახლის ნაწილია და აქ ყველგან სახლშია. გულშემატკივარიც უამრავი ჰყავს – ძალიან ბევრი თვლის თავს ვალდებულად კოკე დაასაჩუქროს. არა, ღმერთმანი, თვითონ არასოდეს ითხოვს, მაგრამ თუ აჩუქებენ, გაუღიმებს და მადლობას უხდის. ათი, ოცი თეთრი, ლარი – ეს უკვე კოკეს კარგი კაცობის დამსახურებაა და დღის ბოლოს მუდამ აგროვებს გარკვეულ თანხას. ფულს არც ითვლის, არც არავინ იცის, თვლა თუ ეხერხება. ან რა საინტერესო ესაა? შუადღისას კოკეს სადილობის დროა. მიდის გამყიდველთან, გაუწვდის ერთ მუჭა ხურდა ფულს, გამყიდველიც იღებს ერთი ლობიანის ან ერთი ხაჭაპურის საფასურს, ზედ ლიმონათს ამატებს და კოკეს სადილიც მზადაა. ამის შემდეგ იწყება კოკესთვის ის წმინდა რიტუალი, რომელმაც



კალამი ამაღებინა ხელში. იგი მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან, პატარა სკვერში მდებარე საეკლესიო შესაწირ ყუთთან მიდის და დარჩენილ ფულს დაუთვლელად ყრის ყუთში.საოცარი სანახავია ამ დროს კოკე. თვალები რაღაცნაირად უმშვიდდება. სახეზე კი, წამიერად ისეთი ნათელი ადგება, შეუძლებელია არ შეამჩნიო. ჩაყრის ფულს, რაც აქვს, რაღაცას ჩაიჩურჩულებს და აუცილებლად ცას ახედავს... რამდენჯერ შევსწრებივარ ამ „რიტუალს" და გული მუდამ ერთსა და იმავეს იმეორებს: უფალო, მეოხად დაგიდგები, შეუსრულე ამ ბიჭს თუ რამეს გთხოვს...

კოკეს მისია იმ დღეს ამით მთავრდება, მოცილდება შესაწირ ყუთს და ისევ ის კოკეა – მხიარული, უდარდელი, ლაღი...

კარგი კაცია კოკე, რაღაცნაირად რომ უხდება ჩვენს ქალაქს, ისეთი...

P.S. აქ ყველაფერი სინამდვილეა,სახელები შევცვალე მხოლოდ. ვეჭვობ,კოკემ ეს პატარა ჩანახატი თუ „პორტრეტის ესკიზი" წაიკითხოს, მაგრამ თუ მაინც ვინმე წაუკითხავს, არ მინდა, მას რაიმე ცუდი მოეჩვენოს და გული ვატკინო. კოკე არ იმსახურებს გულის ტკენას!

გ. გოგოლაძე

ჩვენი წარმატებული ახცალგაზრდები

გურამ ლურსმანაშვილი - კემბრიჯის უნივერსიტეტის სტუდენტი

დღესდღეობით ვცხოვრობთ ეპოქაში, რომელშიც ახალგაზრდებს უკიდეგანო შესაძლებლობები ეძლევათ ცოდნის გასაღრმავებლად, გამოცდილების დასაგროვებლად და საკუთარი თავის სრულყოფილად წარმოსაჩენად. თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტი გურამ ლურსმანაშვილი სწორედ ის ახალგაზრდაა, რომლის თავდაუზოგავმა შრომამ, მიზნისკენ სწრაფვამ და მონდომებამ ბევრი შეაძლებინა. დღეს ის კემბრიჯის უნივერსიტეტში სწავლობს. მას ისეთი ცოდნის მიღების შანსი ეძლევა, რომლის დაუფლების შემდეგაც ყველა კარი ხსნილი იქნება მისთვის. უფრო დაწვრილებით მის მიღწევებზე და სამომავლო გეგმებზე გურამს გავესაუბრეთ.



- გურამ, პირველ რიგში, გილოცავ ასეთ დიდ წარმატებას. მოგვიყევით იმ გზაზე, რომელმაც კემბრიჯამდე მიგიყვანა..

–დავიბადე სოფელ გომში. მე-5 კლასიდან სწავლა განვაგრძე დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავაბარე თბილისის სასულიერო სემინარიაში. ამჟამად ვარ მეოთხე კურსზე და პარალელურად სწავლების კურსს გავდივარ კემბრიჯში მართმადიდებლური თეოლოგიის კუთხით.

- უფრო, რომ განვავრცოთ, როგორ მოხვდი კემბრიჯში?

–დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილო ირლანდიის ეპარქიამ დააფინანსა სასულიერო სემინარიის ერთი სტუდენტი, რომელიც სემინარიის პედაგოგებმა შეარჩიეს. მოლაპარაკების შემდეგ, კი გადაწყდა კემბრიჯში ჩემი წასვლა. სასწავლო კურსი არის ერთწლიანი. სწავლა დავიწყე ოქტომბრიდან და უკვე დავხურე პირველი სემესტრი, მეორე სემესტრი გაზაფხულიდან გაგრძელდება და მაისში უკვე დავხურავ კურსს.

–გურამ, ვიცით, რომ რომშიც მიდიხარ გაცვლითი პროგრამით..

–არის ასეთი ფრანგული ორგანიზაცია „აისეკი", რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების სტაჟირებას და გაცვლით პროგრამებს სხვადასხვა ქვეყნებში. წელსაც შეარჩიეს 50 სტუდენტი. შერჩევა ხდება შემდეგნაირად: სტუდენტები ავსებენ მონაცემებს, საკუთარ ბიოგრაფიას, უთითებენ ასევე სასურველ ქვეყნებს. ორგანიზაციის წარმომადგენლები უკავშირდებიან მათ, ხდება გასაუბრება და ტესტირება რამდენიმე ეტაპად. შერჩეული სტუდენტები ნაწილდებიან სხვადასხვა ქვეყნებში. ყველაზე პრესტიჟულად ითვლება გაცვლითი პროგრამა რომში, სადაც წელს შერჩეული 10 სტუდენტიდან 2 ქართველი ვართ. რომში მივდივართ თებერვალში. ნიკოლო კოპერნიკის სახელობის გიმნაზიაში შევასწავლი ინგლისურ ენას და, სურვილის შემთხვევაში, წავიკითხავ ლექციას საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე. აღნიშნული პროგრამა გაგრძელდება 6 კვირა.

_რას გეგმავთ ამ პროგრამების და კურსების დასრულების შემდეგ?

მინდა, სწავლა გავაგრძელო საბერძნეთში, რადგანაც მართმადიდებლური თეოლოგია სისტემური სახით, სწორედ აქ ისწავლება. დავამთავრებ მაგისტრატურას, შემდეგ დოქტორანტურას.

რა თქმა უნდა, წარმატება მინდა ვუსურვო გურამს საერთაშორისო ასპარეზზე. ნამდვილად მისასალმებელია, როდესაც ქართველები ასეთ მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამენ და ორმაგად სასიხარულო კი ისაა, როდესაც შენი რაიონის წარმომადგენელი ევროპის ერთ-ერთ უდიდეს საგანმანათლებლო ცენტრში სწავლობს. ეს ჩვენი რაიონისთვის უპრეცედენტო შემთხვევაა და ამასთანავე, საამაყოც. ვიმედოვნებთ, გურამი დაგროვილ ზღვა გამოცდილებას ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის გამოიყენებს.

თ. ახალკაცი

იოდის დეფიციტი ბავშვებში და მისი პროფილაქტიკა

დღეისათვის მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული, არაინფექციური დაავადება იოდის ნაკლებობაა, იოდდეფიციტი. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენს რაიონში მკვეთრად გამოხატული იოდის დეფიციტია, მსგავს თემებზე ყურადღების გამახვილება და მოსახლეობის ინფორმირება ძალიან მნიშვნელოვანია. ბავშვთა ენდოკრინოლოგიაც ზრდასრულთა ენდოკრინოლოგიის შემადგენელი ნაწილია, თუმცა შედარებით სხვა სპეციფიკა აქვს. განსხვავებით უფროსებისაგან, ბავშვებში სულ სხვა დაავადებები გვხვდება, მაგალითად, როგორიცაა რახიტი. თუ როგორ შევივსოთ იოდის დეფიციტი, რა გავაკეთოთ მისი პროფილაქტიკისათვის, რომ თავიდანვე ავიცილოთ ის გართულებები, რომელიც თან ახლავს ამ დაავადებას, ამ პრობლემებზე სასაუბროდ, ბავშვთა ენდოკრინოლოგს ირმა წიქარიშვილს ვესტუმრე:

– ქალბატონო ირმა, რა იწვევს ორგანიზმში იოდის დეფიციტს?

–ბავშვთა დაავადებებში, პირველ ადგილზე ჩიყვი და იოდის დეფიციტი დგას. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი რადიაციული ფონის ცვლილებაა. ჰაერის, ნიადაგის, წყლის დაბინძურება ერთ-ერთი გამომწვევია ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიებისა. ენდემური ჩიყვი, რომელიც გამოწვეულია იოდის დეფიციტისგან, ყველაზე ხშირად ბავშვებშია გავრცელებული. შემდგომში ვითარდება დიფუზიური ჩიყვი, ანუ ფარისებრი ჯირკვლის გადიდება, როდესაც ორგანიზმს დიდი ხნის განმავლობაში არ მიეწოდება იოდის შემცველი პრეპარატები და სკვები პროდუქტები.

– რამდენად მნიშვნელოვანია ფარისებრი ჯირკვლის სრულყოფილად ფუნქციონირება ადამიანის ორგანიზმისთვის?

– ფარისებრ ჯირკვალში ხდება თირეოიდული ჰორმონების სინთეზი, მათ, უმნიშვნელოვანესი ფუნქციიდან გამომდინარე ორგანიზმის დირიჟორებსაც ეძახიან. ჩვენს ორგანიზმში არ არის ორგანო ან სისტემა, რომელიც არ საჭიროებდეს თირეოიდულ ჰორმონებს. მათი წარმოქმნისათვის აუცილებელია თიროზინი და იოდი. თირეოიდული ჰორმონები განაგებენ ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების საჭირო რაოდენობას, არეგულირებენ ნერვული, შარდსასქესო სისტემების მუშაობას, ტვინის ფუნქციონირებას, აგრეთვე მთლიანი ორგანიზმის ზრდა-განვითარებას.

– რა სიმპტომებით გამოიხატება ორგანიზმში იოდის ნაკლებობა?

–იოდდეფიციტის დროს სიმპტომები ძალზედ მრავალფეროვანია, ესენია: თმის ცვენა, კანის სიმშრალე, კბილების დაშლა, სწრაფი დაღლა, ცუდი განწყობა, სმენის და მეხსიერების დაქვეითება, ხშირი თავის ტკივილები, დაქვეითებული იმუნიტეტი, ათვისების უნარის დაკარგვა, გონებრივი შესაძლებლობების დაქვეითება, საჭმლის მომნელებელი სისტემის მოშლა. ბავშვები ხშირად უჩივიან ყაბზობას. უკვე, ზრდასრულებში შეიძლება გამოიხატოს რეპროდუქციული უნარის დაკარგვით. მიუხედავად იმისა, რომ ფარისებრი ჯირკვალი პატარაა მოცულობით - სულ 18 მმ-ია, მაინც ყველა ორგანოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია მისი სრულყოფილი ფუნქციონირება.



– როგორ ვუმკურნალოთ ამ დაავადებას?

–მოგეხსენებათ, ენდოკრინოლოგიური დაავადებები ქრონიკულია, მაინც მართვადია და მუდმივ კონტროლს საჭიროებს, პირველ რიგში, აუცილებელია იოდის შემცველი პრეპარატების მიღება. იოდის დეფიციტის პრევენციისათვის, ერთი წლის განმავლობაში 3 თვიანი კურსი საკმარისი იქნება, ხოლო თუ იოდის დეფიციტი დადგინდა, მაშინ 6 თვიანი კურსი იქნება საჭირო. ადამიანის ორგანიზმში იოდის ყოველდღიური ნორმაა 90 მკრ (მიკროგრამი) ბავშვებში, დაბადებიდან 5 წლამდე. 120 მკგ- ბავშვები 5-დან 12 წლამდე. 150 მკგ – მოზარდებში (12-დან), 250მკგ – ფეხმძიმე და მეძუძური დედებისთვის. იოდის დეფიციტის შესავსებად სასარგებლოა ისეთი პროდუქტების მიღება, როგორიცაა ფეიხოა, კივი, ზღვის პროდუქტები, რძის პროდუქტები, ზღვის კომბოსტო, თაფლი, ლიმონი, ნიგოზი და, რაც მთავარია, იოდიზირებული მარილი. აქვე, შეიძლება დავამატოთ, რომ აუცილებელია ორსულებმა ჩასახვის მომენტიდან, ძუძუთი კვების პერიოდის ჩათვლით, მიიღონ იოდბალანსი ნაყოფის სრულყოფილად განვითარებისათვის, რათა თავიდანვე გამოირიცხოს თანდაყოლილი დაავადებების ნიშნები, რომელსაც იოდის დეფიციტი იწვევს. მქონდა ორი შემთხვევა, როცა იოდის ნაკლებობის გამო, ბავშვი თანდაყოლილი კრეტინიზმით დაიბადა, ამიტომ მშობლებს განსაკუთრებული ყურადღება მართებთ.

– მომართვიანობა რამდენად ხშირია?

–მომართვიანობა ძალიან მცირეა. თუ აქტიური და ყურადღებიანი მშობელია, ან სიმპტომები მკვეთრად გამოხატულია, ამ შემთხვევაში მოჰყავთ ბავშვები გამოკვლევებზე. თუმცა, მინდა, მშობლებს მოვუწოდო, რომ ძალისხმევა არ დაიშურონ ამ დაავადების პრევენციისათვის, რათა შემდგომი გართულებები თავიდან ავიცილოთ.

თ. ახალკაცი

კვლავ გაჩნდა იმედის ნაპერწკალი

2015 წლის 25 დეკემბერს, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმს ესტუმრენ საქართველოს კულტურული მკემკვიდრეობის დაცვის საა-

გენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე, ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ფონდის დირექტორი მათე ტაკიძე. სტუმრებს შორის იმყოფებოდა დიმიტრი ყიფიანის მეშვიდე თაობის წარმომადგენელი სოფო ისაკაძე. ნიკოლოზ ანთიძემ და მათე ტაკიძემ ისაუბრეს დიმიტრი ყიფიანის ღვაწლზე ქართველი ერის წინაშე და აღნიშნეს, რომ მათი ჩამოსვლის მიზანი იყო სახლ-მუზეუმისრეაბილიტაციის პროექტის გაქცნობა. ამ მხრივ უკვე გადადგმული იყო პირველი ნაბიჯები, როცა 2014 წელს, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ძალისხმევით დაფინანსდა პროექტი, მათ გამოხატეს მზადყოფნა და თანადგომა ამ საშვილიშვილო პროექტის განხორციელების საქმეში.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმმა 2015 წელს, გარკვეული სამუშაოები ჩაატარა იმ მიზნით, რომ ყურადღება მიექცია არსებული პროექტის დაფინანსებისათვის: პირველი–2015 წლის 3 სექტემბერს, თბილისის ისტორიის მუზეუმში ჩატარდა ხელოვნების საერთაშორისო „ანემა მუნდი – 2015“, ფესტივალი, რომელიც ორი ქვეყნის, ლიტვასა და საქართველოს შორის მეგობრული დიალოგის გაღრმავებას უწყობს ხელს. ფესტივალის მონაწილეებმა, რომელშიც 12 ქვეყნის 30 მხატვარი მონაწილეობდა, დიდი მხარდაჭერა გამოუცხადეს დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმს და მხატვართა ერთმა ჯგუფმა გადმოგვცა ხელოვნების 7 ნიმუში. ფესტივალი გახსნა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ, ღონისძიების მსვლელობის დროს გვქონდა საშუალება და გავესაუბრეთ მინისტრს სახლ-მუზეუმის პროექტთან დაკავშირებულ პრობლემებზე. იგი დაგვპირდა 2016 წელს მუზეუმის რეაბილიტაციის დაწყებას. მეორე – 2015 წლის 22 ოქტომბერს, საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს ხაშურში, აკაკი წერეთლის დაბადების 175 წლისთავის იუბილისადმი მიძღვნილი კონფერენციის მონაწილეთა სახელით გავუგზავნეთ ღია წერილი, რათა 2016 წელი გამოცხადებულიყო დიმიტრი ყიფიანის წლად და დაწყებულიყო დიმიტრი ყიფიანის სასახლის რეკონსტრუქცია-რესტავრაცია. მესამე – 2015 წლის 16 დეკემბერს, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია II ლოცვა-კურთხევით საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში, საქველმოქმედო გამოფენა გაიმართა, სადაც მონაწილეობა მიიღეს როგორც ქართველმა, ისე უცხოელმა მხატვრებმა: მურმან გენელიძემ, ილო პატაშურმა, ჯემალ კვანტალიანმა, ალეკო ლომაძემ და შაკა კილაძემ. უცხოელმა მხატვრებმა; აინა პუტნინამ (ლატვია) ელმირა შოკპურმა (ირანი), ზიტა ვილუტიტემ (ლიტვა). ნამუშევრების გაყიდვის შემთხვევაში შემოსული თანხა მთლიანად უნდა მოხმარებოდა დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რესტავრაციას. ვინაიდან ნამუშევრები ისე სწრაფადარ გაიყიდა, ამჟამად ყველა ნამუშევარი მუზეუმის საკუთრებას წარმოადგენს. ღონისძიებას უძღვებოდა სრულიად საქართველოს საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების საზღვარგარეთის მედიასთან და საზღვარგარეთ ურთიერთობის ხელმძღვანელი დავით კალიჩავა და მხატვარი ალეკო ლომიძე.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მუზეუმის რეაბილიტაციის საქმეში აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის ხელმძრვანელობა. მუნიციპალიტეტის გამგეობის ასეთი აქტივობა კი იმედს გვიტოვებს, რომ წელს ეს პროექტი აუცილებლად განხორციელდება.

რევაზ ნოზაძე,
ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლ-
მუზეუმის მენეჯერი

ლაშა ტალახაძე, ლევან ქელეხსაშვილი, თორნიკე კვინიკაძე ოლიმპიური ნაკრების წევრები გახდნენ

ცნობილი მწვრთნელის გიორგი კვინიკაძის აღზრდილები ლაშა ტალახაძე, ლევან ქელეხსაშვილი და თორნიკე კვინიკაძე საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრები გახდნენ, რაც ახალგაზრდა სპორტსმენებისთვის უდავოდ დიდი წარმატებაა. მათ თავის ასაკში ისედაც ჰქონდათ მიღწევები, ახლა კი წინ უფრო მაღალი საფეხურია და, იმედია, არც აქ შეირცხვენენ თავს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, თორნიკე კვინიკაძე, რომელიც ჯერ მხოლოდ 17 წლისაა და უკვე უფროსებშიც იმკვიდრებს ადგილს. ნაკრების წევრობის უფლება კი ჩვენმა ბიჭებმა ახლახანს დამთავრებული საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ მოიპოვეს, სადაც თავისუფალ ჭიდეაობაში თავის წონებში (შესაბამისად–57 კგ, 65 კგ და 70 კგ.) ბრინჯაოს მედლები აიღეს. ამჟამად საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებთან ერთად ბიჭები ბაკურიანში გადიან შეკრებას და მათი პოტენციალიდან გამომდინარე, არაა გასაკვირი, რომ უახლოეს პერიოდში მათ საქართველოს სახელით მსხვილი მასშტაბის ტურნირებში მიიღონ მონაწილეობა. ოლიმპიადაც არაა შორს და ვინძლო...

ამ გადასახედიდან არც ეს ოცნება ჩანს შორს.

წარმატებას ვუსურვებთ ამ სამეულს.



მედლები - წარჩინებულებს

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეების სწავლების მოტივაციის ამაღლების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყოველწლიურად სხვადასხვა პროექტს ახორციელებს, მათ შორისაა წარმატებული მოსწავლეების წახალისების პროგრამა წარჩინებულ კურსდამთავრებულთა ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოების ქვეპროგრამა. პროგრამის მიზანია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების წახალისება და წარჩინებულ მოსწავლეთა წარმოჩენა. . სრული ზოგადი განათლების ოქროს მედალოსნის ატესტატს იღებს მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულაა 10 დამრგვალების გარეშე და მიიღებს დადებით შეფასებას სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე. სრული ზოგადი განათლების ვერცხლის მედალოსნის ატესტატს მიიღებს მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 9.8 ან მეტი და მიიღებს დადებით შეფასებას სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე. 2016 წლის 8 იანვარს, ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ზვიად გოგუაძემ, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურსპაშვილმა და ხაშურის მუნიციპალიტეტის სპორტის, კულტურისა და განათლების სამსახურის უფროსმა კონსტანტინე ფრუიძემ მოოქროვილი და მოვერცხლილი მედლები გადასცეს მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 56 წარჩინებულ კურსდამთავრებულს. გარდა ამისა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობდა 2011-2012 წლის 4 კურსდამთავრებულის განცხადების საფუძველზე და მოსწავლეთა უპირატესი ინტერესის გათვალისწინებით, აღნიშნულ კურსდამთავრებლებს სამინისტრომ მიაკუთვნა მედლები. შესაბამისად, 08 იანვარს აღნიშნულ

თქვენი სპორტული კარიერა სამაგალითოა

ბატონო რამაზ,

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელით გულწრფელად გილოცავთ დაბადებიდან 65 წლის იუბილეს! გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ხანგრძლივ სიცოცხლეს! დასაფასებელი და მომავალი თაობებისათვის სამაგალითოა თქვენი სპორტული კარიერა. ძიუდოს სკოლის და საზოგადოდ ქართული სპორტის ისტორიაში თქვენი წვლილი და მიღწევები მნიშვნელოვანი და საამაყოა. დღეს თქვენს საქმეს უამრავი მიმდევარი ჰყავს. ჩვენი მუნიციპალიტეტის ნორჩი მოჭიდაველები არაერთ წარმატებას აღწევენ ადგილობრივ თუ საერთაშორისო ტურნირზე. თქვენი გამარჯვებები კვლავ აძლევს ძალას მომავალ სპორტსმენებს, რათა კვლავ ახალი შემართებით იბრძოლონ და ასახელონ ჩვენი მუნიციპალიტეტი და ჩვენი ქვეყანა.

პატივისცემით,

გიორგი გურასპაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ვულოცავთ ლეგენდარულ სპორტსმენს

ჩვენს ლეგენდარულ სპორტსმენს, რამაზ ხარშილაძეს, 65 წელი შეუსრულდა. ძიუდოს სამყაროში მისი სახელი იმ უდიდეს სპორტსმენების გვერდითაა, რომლებმაც თავი მთელ მსოფლიოს დაამახსოვრეს. სწორედ მისი და მისი თაობის გაკვალულ ბილიკზე დგას დღეს ქართული ძიუდო, რომელიც დღემდე არ ტოვებს მოწინავე პოზიციებს.

ბატონო რამაზ,

გილოცავთ იუბილეს და ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს გისურვებთ, გვეამაყები!

პატივისცემით,

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელით

ვაჟა შუბითიძე,

საკრებულოს თავმჯდომარე

65 - რამაზ ხარშილაძე -65

ჩვენს მშობლიურ ქალაქს ისევ ისე უხდება და ამშვენებს 65 წლის რამაზ ხარშილაძე, როგორც ამ 30-40 წლის წინ, როცა პირველად დაიმშვენა მკერდი ოქროს მედლით, სსრ კავშირის ჩემპიონი რომ გახდა ჭიდაობა ძიუდოში. ამ ამბავმა მაშინ ჩვენი რაიონი, მთელი საქართველო მოიარა და ყველა ჩვენგანი უსაზღვრო სიხარულითა და სიამაყით აგვავსო.

–გვასახელა, გვასახელა, გვასახელა ნოეს ბიჭმა, ამაყად და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ ფლევის სასოფლო საბჭოს სოფლებში, პირველ რიგში, კი ნაცარგორაში, რომელიც უცებ გახდა ცნობილი ქვეყანაში.

იმ წლებში ხაშურის პარტიის რაიკომში ვმუშაობდი განყოფილების გამგედ. პირველი მდივანი კი ყველასთვის საყვარელი პიროვნება დემირ ნოზაძე იყო, წარმოშობით ალიდან და ის ხუთი თითივით იცნობდა ფლევის საბჭოში შემავალ სოფლებს და მოსახლეობას. თვითონაც მასწავლებლის შვილი, კარგად იცნობდა მასწავლებელთა კონტიგენტს, მათ შორის ბატონ ნოე ხარშილაძეს, ეს კი აორკეცებდა ჩვენს სიხარულს.

გვიანი საღამოა, ჩემს სამუშაო კაბინეტში პირველი მდივნის ტელეფონი აწკრიალდა – მოდიო, მთხოვა. აშკარად ჩანდა გახარებული იყო, –გაიგე, რობერტ! – მომაძახა შესვლისთანავე. მე ცოტა დავიბენი, ვერ მივხვდი რაზე იყო საუბარი. თუმცა, რამაზის გამარჯვების ამბავი უკვე ვიცოდი. ისევ თვითონ გამომიყვანა მდგომარეობიდან. რაღაც უნდა მოვიფიქროთ, რაღაცით უნდა წავახალისოთ რამაზიც და სოფელიც. ეს შესანიშნავი მაგალითი იქნება ჩვენი რაიონის ახალგაზრდებისთვის. ამით მათ უნდა ვუთხრათ, რომ შრომა და ბრძოლა სამშობლოსათვის, ყოველთვის შეიძლება და ფასდება, უნდა მივუთითოთ, ვისზე გააკეთონ სწორება. დღეს კი ასეთი რაიონში რამაზ ხარშილაძეა. რით შეიძლება წავახალისოთ? – იქით შევუბრუნე კითხვა. დემირი მაშინვე ტელეფონს დაწვდა და როგორც მივხვდი, საქალაქო საბჭოს აღმასკომში დარეკა. ვიღაცას შეეკითხა, მთლიანად იყო თუ არა ბინები განაწილებული? მერე მეორე ტელეფონს დაწვდა, რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს შეეკითხა, ავტომანქანების მსურველთა სია შედგენილია თუ არაო? ესეც ასე, დანარჩენი ხვალ გადავწყვიტოთო, მითხრა. ხვალ დილით, თქვენ და მამა-შვილი ხარშილაძეები ჩემთან იყავითო. მეორე დღეს, დილის 9 საათზე,



უკვე მის კაბინეტში ვიყავით. მდივანმა გულწრფელად მიულოცა მამა-შვილს ესოდენ დიდი გამარჯვება და შემდგომი წარმატებები უსურვა რამაზს მსოფლიოს არენაზე. მერე ბატონ ნოეს უთხრა: –ბიძია ნოე, რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილებით მცირე საჩუქარი გვინდა, გადავცეთ თქვენს შვილს და თქვენ რას იტყვითო? –რაზეა საუბარიო?– იკითხა ბატონმა ნოემ. შენმა შვილმა ან საცხოვრებელი ბინა უნდა აირჩიოს ან ავტომანქანა ურიგოდო. ნოემ რამაზს გადახედა. რამაზმა დაუყოვნებლივ ბრძანა: სოფელს გზები მოუწესრიგდეს და მე მეტი საჩუქარი არ მინდაო. შვილის არჩევანით გახარებული მამა რამაზს გადაეხვია, რამაზის თხოვნა მიღებული იქნა. მდივანმა მოითხოვა ავტოსატრანსპორტო საწარმოს და №5 საგზაო-სამშენებლო სამმართველოს უფროსები დაკავშირებოდნენ. გავედი ჩემს კაბინეტში და ცხონებულ ზაურ სახვაძეს გადავეცი „პირველის“ თხოვნა (ზაური მაშინ ავტოსატრანსპორტო გაერთიანების გენერალური დირექტორი იყო,). მეორე დღეს დილაადრიან ნაცარგორის შემოგარენი სილა-ხრეშით დატვირთულმა ავტომანქანების ხმაურმა შეძრა. საგზაო ტექნიკაც უკვე ადგილზე იყო. მდივნის სიტყვა და საქმე ერთი იყო. რამაზის ოცნება ასრულდა, თანასოფლელებს ოდესღაც თქმული დანაპირები აუსრულა, რითაც ბუნებრივია, ამაყი იყო.



მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, როგორც იტყვიან – მეც გამერია თმაში ჭაღარა, იმ დღეთა სიხარული კი დღემდე გამომყვა. უღრმესი მადლობა, ჩემო რამაზი ყველაფერ იმისთვის, რაც შენ გააკეთე შენი რაიონისა და შენი სამშობლოსთვის. ახლა აღარც ბატონი დემირია, აღარც ზაური, აღარც მამამისი. ნათელი და სანთელი მათ ხსოვნას!

იმ პირველი გამარჯვების შემდეგ რამაზი კიდევ მრავალჯერ გახდა სსრკ ჩემპიონი, ხოლო 36-ჯერ მსოფლიოს სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული. ასეთი სახელოვანი და წარმატებებით აღსავსე გზა გაიარა ჩვენმა დღევანდელმა იუბილარმა. ეს გზა ბევრისთვის მისაბაძი და საოცნებო იყო. უნდა ვთქვა, რომ რამაზი ტატამზე ნამდვილი ჰუმანისტი და ჯენტლმენი იყო.

თუ შეამჩნევდა, რომ მეტოქეს აშკარად სჯობნიდა, ცდილობდა, თავისი უპირატესობა, ისე გამოეყენებინა, რომ მეტოქის ღირსება არ შეელახა. კოლოსალური შესაძლებლობების მქონე მოჭიდავე გახლდათ. მაშინ სსრკ-ს ნაკრებში მოხვედრა დიდ პრობლემებთან იყო დაკაშირებული. თუ მეტოქეს ათი თავით არ სჯობდი, ნაკრებში მოხვედრის შანსი ლამის 0-ის ტოლი იყო. რამაზს კი მაშინ ბადალი არ ჰყავდა თავის წონაში, მისთვის მწვანე გზა იყო მსოფლიო არენისკენ. მოჭიდავეთა დიდი საძმო ახლაც სიამაყით იხსენებს რამაზის გამოსვლებს, მის არაჩვეულებრივ გამარჯვებებს. ამბობენ, ისეთი ძალა ჰქონდა მარჯვენაში, რომ თუ მეტოქის ხელს ჩაიგდებდა, დამთავრებული იყო მისი საქმეო. ნიანგის ყბა მასთან მოგონილი იყოო. ყოველივე ეს უმოწყალო ვარჯიშის, ოფლისღვრის, ნებისყოფის წვრთნის შედეგი იყო. ერთ-ერთ ასპარეზზე, სადაც რამაზის უპირატესობა აშკარა იყო, მსაჯებმა სათანადო შეფასება არ მისცეს მის თავბრუდამხვევ ილეთებს და ვერცხლის მედალს „დასჯერდა“. რამაზი არ გაბოროტებულა, მისთვის მეტოქე, არა მარტო მოწინააღმდეგე, არამედ ძმა და მეგობარი იყო. ეს გახლდათ მისი ფსიქიკურ-ფილოსოფიური მრწამსი. ჰოდა, იმ შეჯიბრში თავისი მეტოქენი პარიზში, ეიფელის კოშკზე დაპატიჟა და ამ ნაცარგორელმა ბიჭმამა თავის მეტოქეებს სულ ჯორჯია, ჯორჯია აძახებინა. გვიან საღამომდე გაისმოდა ეიფელის ბოლო სართულიდან ქართული მრავალჟამიერის ხმა. როცა მეგობრული ვახშამი დამთავრდა, რამაზი ქართველი ემიგრანტების ალყაში აღმოჩნდა და როგორც ამბობს ხოლმე „ახლაც ახსოვს მათი გაბრწყინებული, სიხარულის ცრემლებით ავსებული თვალები“. სხვათაშორის, სპორტის დამსახურებული ოსტატი, არაერთხელ მიიწვიეს საჭიდაოდ და სამოღვაწეოდ საზღვარგარეთ, მაგრამ რამაზისთვის, მხოლოდ ერთი სამშობლო არსებობს, რომელიც ნაცარგორიდან იწყება და მის გულში მთავრდება.

დღეისთვის ამით ვამთავრებ, ჩემო რამაზ, თქვენზე საუბარს, დანარჩენის კი თქვენი 70 წლისთავის იუბილესთვის ვინახავ.

გაზეთის მრავალრიცხოვანი მკითხველისა და ჟურნალისტ-მეგობართა სახელით გილოცავთ შობა-ახალ წელს და დაბადების 65 წლისთავს.

რ. სავანელი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.

D

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტ-
ფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.